Co-funded by the
Creative Europe Programme
of the European Union

THE USAID ECONOMIC SECURITY PROGRAM

„ინტელექტუალური საკუთრება ტრადიციული რეწვის ბიზნესთან მიმართებაში“
ტრენინგები ტრადიციული რეწვის ბიზნესის და დიზაინის სფეროს წარმომადგენლებისთვის
მაისი, 2021

გამოცხადება

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი რეწვის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების და ხელნაკეთი პროდუქციის სფეროში მომუშავე დამწყებ მეწარმეებს იწვევს 4-დღიან ონლაინ ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად. ტრენინგების თემაა: „**ინტელექტუალური საკუთრება ტრადიციული რეწვის ბიზნესთან მიმართებაში“.**

პროგრამა წარმოადგენს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიმდინარე პროექტის ***„ახალი შესაძლებლობები რეწვის ინდუსტრიის განვითარებისთვის“*** ნაწილს, რომელიც ხორციელდება USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის და ევროკომისიის შემოქმედებითი ევროპის პროექტის ***Crafting Europe***-ის ფარგლებში (2020-2021).

პროგრამის მიზანია ტრადიციული რეწვის და დეკორატიულ-გამოყენებით ინდუსტრიაში ჩაბმული მეწარმეების ცოდნის ამაღლება ინტელექტუალურ და მომიჯნავე უფლებებზე, მათი პროდუქციის არალეგალური იმიტირების და პლაგიატისაგან დაცვის გზებზე, ნაწარმის განსაკუთრებულ მახასიათებლებზე უფლებების მოპოვების საშუალებებზე.

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

- ინტელექტუალური საკუთრების არსი;
- საავტორო უფლებების გამოყენების სფეროები და მათი რეგისტრაცია;
- სასაქონლო ნიშნების გამოყენების სფეროები და მათი რეგისტრაცია;
- პატენტების გამოყენების სფეროები და მათი რეგისტრაცია.
- დიზაინი, მისი არსი და დაცვის ფარგლები;
- კულტურული მემკვიდრეობა, როგორც საჯარო საკუთრება;
- ინტელექტუალური საკუთრების სწორი ფორმის შერჩევა ტრადიციული რეწვის და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ინდუსტრიებისთვის.
- ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების სფეროები და მათი რეგისტრაცია;

ვის შეუძლია მონაწილეობა?

პროგრამაში მონაწილეობა შეგიძლიათ თუ თქვენ ხართ ტრადიციული რეწვის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ხელნაკეთი და დიზაინერული პროდუქციის მეწარმე, ან სექტორში მომუშავე გალერეა/მაღაზიის მფლობელი.

მონაწილეობა უფასოა, პროგრამა განხორციელდება **2021 წლის 10, 12, 15 და 17 მაისს** და მოიცავს ოთხ ოთხსაათიან ონლაინ ტრენინგს.

ტრენინგებზე დასწრების მსურველებმა **2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით** უნდა შეავსოთ განაცხადის ფორმა ბმულზე: https://bit.ly/3dADuty

საკონტაქტო ინფორმაცია:
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
www.gaccgeorgia.org
მის: ნიკო ნიკოლაძის ქ. #7, თბილისი- 0108, საქართველო
ტელ: (+995 32) 293 13 35;
(მობ.:) 593 397 153; 555 455 843
ელ. ფოსტა: info @gaccgeorgia.org

აღნიშნულ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებას.